# სამედიცინო და ველნეს ქალაქი

მაგისტრანტი: ანა ნასყიდაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე არქიტექტურისა და მდგრადი განვითარებსი ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად.*

თანამედროვე არქიტექტურა და მდგრადი განვითარება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი კიღურაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

# განაცხადი

,,როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემ მიერ ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

მაგისტრანტი ანა ნასყიდაშვილი

# აბსტრაქტი


თანამედროვე საზოგადოებაში სულ უფრო მეტად იზრდება მოთხოვნა ინტეგრირებულ სამედიცინო და ველნეს სივრცეებზე, რომლებიც მოიცავენ არა მხოლოდ მკურნალობას, არამედ რეაბილიტაციასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის მხარდაჭერას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ მომხმარებელთა საჭიროებებს, რომლებიც მოითხოვენ სრულფასოვან, ინკლუზიურ და მრავალფუნქციურ გარემოს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება სამაგისტრო ნაშრომის არქიტექტურული პროექტი – „სამედიცინო და ველნესი ქალაქი“, რომელიც მდებარეობს თბილისში, სოფელი დიღომის ტერიტორიაზე.

მოცემული არქიტექტურული პროექტი — „სამედიცინო და ველნეს ქალაქი“ მიზნად ისახავს ერთ სივრცეში გააერთიანოს:

- დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრი (პედიატრია, ოფთალმოლოგია, ლოგოპედია, ოტოლარინგოლოგია, აუზები, ფიზიოთერაპია და მშობლებისთვის საგანმანათლებლო სივრცე ფსიქოლოგის მხარდაჭერით);
- მოზრდილთა ველნესი (მასაჟი, მარილის ოთახი, ცივი/ცხელი აუზები, ფიზიოთრეპია, საუნა, პილატესი და ფიტნესი);
- სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი (ლუქს და სტანდარტული ნომრები, შშმ პირებისთვის ადაპტირებული ოთახები, ჯანსაღი კვების ღია კაფე, მოსასვენებელი და საზოგადოებრივი სივრცეები).
- გარე ტერიტორია მოიცავს გამწვანებულ სივრცეებს, ღია ცის ქვეშ სავარჯიშო ზონას და პარკინგს, რომელიც ადაპტირებულია შშმ პირებისთვის.

გარდა ამისა, პროექტი დიდ ყურადღებას უთმობს გარემოზე ზემოქმედების მინიმალიზაციასა და მდგრად განვითარებას. გამწვანებული ეზოები, ჩრდილოვანი დასასვენებელი ზონები, ბუნებრივად ვენტილირებადი და განათებული სივრცეები ხელს უწყობს მიკროკლიმატის გაუმჯობესებას და ეკოლოგიურ კომფორტს. პერიმეტრზე განთავსებული ღია სავარჯიშო სივრცეები და მოსასვენებელი ადგილები ეხმიანება ფიზიკური აქტივობის სტიმულირებას, რაც ქალაქის ცხოვრების წესთან ინტეგრირებულია.

ასევე აღსანიშნავია, რომ პროექტი დამუშავებულია უნივერსალური დიზაინის პრინციპებზე დაყრდნობით, რაც უზრუნველყოფს მის სრულ ხელმისაწვდომობას შშმ პირებისთვის. სპეციალურად გათვალისწინებული ინფრასტრუქტურა ადაპტირებული პანდუსები, ფართო დერეფნები ქმნის სრულიად ინკლუზიურ გარემოს.

ნაშრომის ფარგლებში განხორციელდა ტერიტორიის არქიტექტურულ-ქალაქგეგმარებითი ანალიზი, რელიეფის, ზონირების და ხელმისაწვდომობის შეფასება. კვლევის მიზანი იყო ფუნქციურად დამაბალანსებელი, ადამიანზე ორიენტირებული და მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული კონცეფციის შექმნა.

კვლევამ აჩვენა, რომ მსგავსი კომპლექსური ცენტრები თბილისში ნაკლებადაა განვითარებული და დიღომის რაიონი თავისი ურბანული მდგომარეობით და ხელმისაწვდომობით უზრუნველყოფს ასეთი პროექტის განხორციელების მაღალ პოტენციალს. შედეგად, შემუშავდა კომპლექსური არქიტექტურული მოდელი, რომელიც პასუხობს ქალაქში არსებულ ინფრასტრუქტურულ დეფიციტს. პროექტი ეყრდნობა ჰოლისტურ მიდგომას, რომელშიც ჯანმრთელობა, რეკრეაცია, განათლება და ტურიზმი ორგანულად ერწყმის ერთმანეთს.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** დიღომი, ველნესი, სამედიცინო არქიტექტურა, შშმ ადაპტაცია, ფიზიოთერაპია, ვეგანური კვება, ურბანული რეკრეაცია.

# სარჩევი

ილუსტრაციების ჩამონათვალი…….... 5

შესავალი…… 6

მეთოდოლოგია…… 8

ლიტერატურის მიმოხილვა……... 12

შედეგები…… 37